საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2621-03
11/09/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის შვიდ სასტიპენდიო პოზიციაზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების", კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის კოორდინატორის 2019 წლის 10 სექტემბრის N15427-35 წარდგინებისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 10 სექტემბრის N15430-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში გამოცხადდეს მიღება 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრისთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის 7(შვიდ) სასტიპენდიო პოზიციაზე ამ ბრძანების პირველი დანართში მითითებული პირობების, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ვადების შესაბამისად.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს 2019 წლის 11 სექტემბრიდან 2020 წლის 1 თებერვლის 18:00 საათის (საქართველოს დროით) ჩათვლით, ამ ბრძანებით დამტკიცებული პირველ დანართში მოცემული პირობებისა და ვადების დაცვით, საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ელექტრონულ მისამართზე doctoralschool@iliauni.edu.ge.

3. დამტკიცდეს ამ ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის სააპლიკაციო ფორმა მე-2 დანართის სახით.

4. დამტკიცდეს ამ ბრძანების ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან მიმღები კომისია ამ ბრძანების მესამე დანართის მიხედვით.

5. უცხო ენის გამოცდის/გამოცდებისა და გასაუბრების თარიღების შესახებ ინფორმაცია დადგინდეს ყოველი კონკრეტული აპლიკანტისათვის ინდივიდუალურად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მიუნსტერის ვესტფალური ვილჰელმის უნივერსიტეტის(გერმანია) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან მიმღებ კომისიასთან შეთანხმებით.

6. აპლიკატთა ჩარიცხვა სადოქტორო პროგრამაზე დასრულდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე;

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტსა და კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერსა და კოორდინატორს;

8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიასა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების მესამე დანართით დამტკიცებული კომისიის წევრებისათვის ბრძანების გაცნობა.

9. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია და პირველი და მეორე დანართი განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდსა და შესაბამის სოციალურ ქსელში;

10. კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერსა და კოორდინატორს დაევალოს ამ ბრძანებით განსაზღვრული პროცესებისა და ინფორმაციის გავრცელების ადმინისტრირება.

11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის სპიკერს, კოორდინატორს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეს-ნინო დობორჯგინიძეს, იურიდიულ სამსახურს, საგარეო ურთიერთობის სამსახურს, განვითარების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი